საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 361 2018 წლის 25 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას" შორის გასაფორმებელი ფინანსური ხელშეკრულების ფარგლებში გრანტის მიმღები ორგანოს განსაზღვრის შესახებ

1. „გრანტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას" შორის გასაფორმებელი ფინანსური ხელშეკრულებით (ექსპერტის მომსახურებების დაფინანსება მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა III-ის ფარგლებში) გათვალისწინებული გრანტის მიმღებ ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

2. მიენიჭოს უფლებამოსილება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ხელი მოაწეროს

საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ შორის გასაფორმებელ ფინანსურ ხელშეკრულებას (ექსპერტის მომსახურებების დაფინანსება მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა III-ის ფარგლებში).

მამუკა ბახტაძე